

Dr David Maziashvili

დავით მაზიაშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Medea's Decision

მედეას გადაწყვეტილება

The goal of the paper is to find out common characteristics between the work of Swiss psychiatrist and psychotherapist Carl Gustav Jung and Contemporary Georgian choreographer Mariam Aleksidze's latest contemporary ballet *Medea* (staged according to *Medea* by Euripides; Premiere held on 14 May 2024 in Tbilisi, Georgia). Research shows that Carl Jung's *Psychology and Alchemy* had a great influence on Aleksidze's *Medea*, which is expressed in the main character's psychological portrait. Aleksidze uses Jungian interpretations of dreams and phases of the alchemical process to show Medea's spiritual state.

Key words: Medea, Aleksidze, Euripides, Jung, contemporary ballet

საკვანძო სიტყვები: მედეა, ალექსიძე, ევრიპიდე, იუნგი, თანამედროვე ბალეტი

*...ტრაგედიას ტყუილად როდი მიიჩნევენ სიბრძნის ხელოვნებად,
ხოლო ამ მხრივ ყველაზე მაღლა დგას ევრიპიდე.*

პლატონი

„მედეას“ მხატვრული ინტერპრეტაცია სხვადასხვა მედიუმში არახალია მთელს მსოფლიოში. ბევრი ხელოვანი, მწერალი, მოაზროვნე ადამიანი მედეას მიტსა თუ პერსონაჟში, საკუთარ და ეპოქის სათქმელს ხედავდა. გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა. თუმცა, გასული წლების განმავლობაში აკადემიურ და სახელოვნებო სივრცეში მედეას თემის მიმართ ინტერესმა განსაკუთრებით იმატა. მათ შორის თეატრალურ სამყაროშიც, რომელთა შორის გამოსარჩევია მარიამ ალექსიძის მიერ 2024 წელს დადგმული თანამედროვე ბალეტი „მედეა“.

მარიამ ალექსიძის თანამედროვე ბალეტში ევრიპიდეს ტექსტის, როგორც გამომსახველობითი ფორმის, ისე შინაარსის ქორეოგრაფიულ-მუსიკალური ინტერპრეტაციის შესახებ მრავალმხრივ და კომპლექსურად შეიძლება საუბარი. სპექტაკლში ალექსიძისეული საავტორო თანამედროვე საბალეტო ქორეოგრაფიული ენა შერწყმულია სოსო ბარდანაშვილის¹ მიერ სპეციალურად ბალეტისთვის შექმნილ არქაულ, პოლიფონიურ მამაკაცთა საგუნდო მუსიკასთან, რომელიც ტრადიციულ ქართულ ფოლკლორულ თუ საეკლესიო სასიმღერო ნიმუშებს მოგვაგონებს. ევრიპიდეს ტექსტიდან ქართულად თარგმნილი მედეას სიტყვები, მონოლოგები სწორედ პოლიფონიურ მუსიკალურ ფორმაშია მოქცეული და აჟღერებული, რაც ტექსტის ნოვატორულად წაკითხვის და მედეას

¹ აღსანიშნავია, რომ მარიამ ალექსიძისა და სოსო ბარდანაშვილის შემოქმედებითი თანამშრომლობა 2011 წელს თანამედროვე ბალეტ „აჭარპანით“ დაიწყო. 2014 წელს კი, ქორეოგრაფის მოწვევით კომპოზიტორმა იმუშავა საავტორო თანამედროვე ქართულ ბალეტზე „გურჯი ხათუნი“.

სულიერი პორტრეტის შექმნის კიდევ ერთი საინტერესო მაგალითია. სპექტაკლის საფუნდო მუსიკას, სიმფონიური და კამერული მუსიკა ერწყმის, რომელიც ერთდროულად ბიბლიური და ძალიან მითოლოგიურია. სწორედ ასე იზადება მარიამ ალექსიდის შემოქმედების საავტორო ხელწერა, რომელშიც სიტყვის აზრი და ფორმა მუსიკაში, ხოლო სიტყვის მუსიკისგან დაბადებული ქორეოგრაფიული კომპოზიციები, თანამედროვე საბალეტო სპექტაკლად გარდაისახება.

მარიამ ალექსიდის „მედეა“ მრავალხმიანი კოლხური დატირებით, ქორეოგრაფიულ-მუსიკალური რიტუალური მსვლელობით იწყება. მოცეკვავეთა ქორო, ოქროს საწმისის უზარმაზარი პანოდან გამოდის და მედეას მითის დაბადებას გვამცნობს, რა დროსაც არქაული საზოგადოების ტრადიციის მსგავსი „მითის მარადიული მობრუნების“ რიტუალი თამაშდება. როგორც მირჩა ელიადე წერს, რიტუალს ძალუმს გაიმეოროს, გაიხსენოს, გაანამდვილოს ის, რასაც ღვთაებები, გმირები თუ წინაპრები ab origine (საწყისში) აკეთებდნენ (ელიადე, 2009, გვ. 17). ალექსიდის „მედეა“, სწორედ გაუჩინარებული მითის მობრუნების და მედეას განამდვილების „არტიტური რიტული“, რომელიც regressus ad uterum-თ (საშოში დაბადება) ახალ დაბადებას ამზადებს, მაგრამ არა განმეორებით – ფიზიკური დაბადებით, არამედ სულიერი ყაიდის მისტიკური ხელახალი დაბადებით, არსებობის ახალი სახით. როგორც ელიადე წერს: „*აქ ძირითადი აზრია, ჩასწვდე არსებობის უზენაეს ხატებას, გაიმეორო ჩასახვა და დაბადება, მაგრამ გაიმეორო მხოლოდ რიტუალურად, სიმბოლურად...*“ (ელიადე, 2009, გვ. 72).

თუმცა, მარიამ ალექსიდის „მედეაში“ სხვა საწყისებიც არანაკლებ დამაფიქრებელია. კერძოდ, მედეას პერსონაჟი და მისი შურისძიების გადაწყვეტილება, რომელიც სპექტაკლის უმთავრესი საზრისი და სათქმელია. შურისძიების გადაწყვეტილების სცენა გაშეშებული, გაოგნებული, შეურაცხყოფილი, გაბრაზებული, სტატიკურ მდგომარეობაში ავანსცენაზე მჯდომი მედეათი იწყება. მის უკან, სცენის სიღრმიდან, სიბნელიდან, დამატებული პერსონაჟის მორმოს¹ თაოსნობით, ჯერ პირველი მოცეკვავე ამოიზრდება, შემდეგ მეორე, მესამე და ქოროს ერთიანი, მძლავრი ქორეოგრაფიული კომპოზიციით მედეას ფსიქოლოგიურ-სულიერი მღელვარების (სულიერი კრუნჩხვების) და კრეუსასა და შვილების დახოცვის გადაწყვეტილების მომენტის თანამონაწილენი ვხდებით. სწორედ აქედან იწყება პიესაშიც და სპექტაკლშიც მედეას, როგორც ქალის, პატრიარქალურ გარემოსთან დაპირისპირება, რომელიც მედეას სიტყვებს მოგვაგოებს: „*ამქვეყნად რაც კი რამ არსებობს, სუნთქავს, აზროვნებს, მათ შორის სხვებზე უბედურნი ვართ ჩვენ, ქალები...*“² (ევრიპიდე, 2017, გვ. 51).

ჩემი აზრით, სპექტაკლის ეს ფაზა, დიდი ფსიქოლოგისა და ფსიქოანალიტიკოსის კარლ გუსტავ იუნგის ნაშრომის „ფსიქოლოგია და ალქიმის“ ერთი ეპიზოდის მხატვრულ ფორმაში გამოხატვის კარგი მაგალითია. კერძოდ, პაციენტის მე-18 სიზმრის განმარტებისას იუნგი წერს:

„ადმოსავლურ სიმბოლიკაში კვადრატი (ჩინეთში მას დედამიწის მნიშვნელობა აქვს, ინდოეთში – პადმასი (ლოტოსის) “Yoni”-ს – ქალურობას გამოხატავს. ასევე ქალურია Anima-თი პერსონიფიცირებული კაცის არაცნობიერი.“³ იგი მუდამ „არასრულფასოვან ფუნქციას“

¹ როგორც ცნობილია ბერძნულ მითოსსა და ფოლკლორში მორმო იყო მდედრობითი სქესის ავი სული, რომლის ხსენებითაც ბავშვებს აშინებდნენ. თქმულების მიხედვით მორმომ თავისი შვილები შთანთქა და კორინთო დატოვა. ევრიპიდე, მორმო, როგორც საკუთარი შვილების მკვლელი მის მედეას სახეში გააერთიანა. მარიამ ალექსიდემ ევრიპიდეს ეს ჩანაფიქრი ზუსტად დაინახა და სპექტაკლში მორმოს პერსონაჟი ცალკე, თუმცა მედეას სულის ნაწილად წარმოადგინა. მედეას და მორმოს შესახებ უფრო დეტალურად იხილეთ რისმაგ გორდეზიანის ლექცია. (https://www.youtube.com/watch?v=DaHt_AhrVXo&t=8s)

² ევრიპიდე „მედეადან“ ციტატების თარგმანი ნანა ტონიასი.

³ Anima-ს განმარტებისას საყურადღებოა იუნგის მოსაზრება სქოლიოში: „როგორც მზეში მიმავალ ადამიანს თან სდევს ჩრდილი, ასევე მამაკაცის სახით მოვლენილი პერმანენტული ადამიცი თავისი სხეულით დაატარებს ევას, ანუ ცოლს“ (იუნგი, 2023, გვ.182).

განასახიერებს და ხშირად საეჭვო ხასიათი აქვს; დიახ, იგი თავად ბოროტებას წარმოადგენს. როგორც წესი, ის *მეოთხე* პიროვნებაა (შდრ. მე-10, მე-11, მე-15 სიზმრები), დედის შიშის მომგვრელი, შავი საშა და ამბივალენტური ბუნებისაა. ქრისტიანული ღვთაება სამსახოვანია. მეოთხე პერსონა ზეციურ დრამაში უდავოდ სატანაა. შედარებით უწყინარ ფსიქოლოგიურ ვერსიაში იგი უბრალოდ არასრულფასოვანი ფუნქციის სახით არის წარმოდგენილი. მორალური პოზიციით, იგი კაცთა მოდგმის ცოდვაა, ანუ ეს არის ფუნქცია, რომელიც მას მიეწერება და მამაკაცურია. ღვთაების ქალური ელემენტი ბუნდოვანია, რადგან სულიწმიდის, როგორც დედა-სოფიას, განმარტება ერესად იყო მიჩნეული. ქრისტიანულ მეტაფიზიკურ დრამაში „პროლოგი ზეცაში“ მხოლოდ მამრობითი სქესის მსახიობები არიან, ასევე იყო უძველეს მისტერიებშიც. ქალური ელემენტი აშკარად სადმე უნდა იყოს: სავარაუდოდ, ის ბნელში უნდა ვეძებოთ, ყოველ შემთხვევაში ძველმა ჩინურმა ფილოსოფიამ მას იქ, „Yin“-ში მიუჩინა ადგილი. ქალი და კაცი ერთიანდებიან, მაგრამ მაინც შეურიგებელ კონტრასტს წარმოადგენენ და გააქტიურების შემთხვევაში ერთმანეთს მტრად მოეკიდებიან. ეს დასაბამიერი კონტრასტი სიმბოლურად ყველა შესაძლო კონტრასტს გამოხატავს, მაგ: ცხელი-ცივი, ნათელი-ბნელი, სამხრეთი-ჩრდილოეთი, მშრალი-სველი, კეთილი-ბოროტი და ა.შ...“ (იუნგი, 2023, გვ.182-183).

ერთი სიტყვით, იუნგისთვის სამის საპირისპირო მეოთხე, ხოლო კაცის საპირისპირო Anima-ქალია, რომელიც არაცნობიერს განასახიერებს.¹

ალექსიძის მედია, ბოეთიუსის „ფილოსოფიის ნუგეშში“ პერსონიფიცირებული ფილოსოფიის მსგავსად, პერსონიფიცირებული არაცნობიერია. იგი თავად წარმოადგენს იმ საიდუმლოებას, რომელსაც არაცნობიერი-ანიმა-ქალი ეწოდება. იგი ოქროს საწმისის სამყაროში დაბადებული, როგორც კრეონი ამბობს დაბადებიდანვე ბრძენი და ბოროტია (ევრიპიდე, 2019, გვ. 55), რომელიც დიდი ცოდნისა და ძალის მატარებელია. მისი ყველა ქმედება სიყვარულის (ლიბიდოს) ქმედებას ანუ „არაცნობიერის ლოგიკას“ ექვემდებარება, რომელიც ცნობიერი პატრიარქალური, კანონების მქონე ელინური სამყაროსთვის გაუგებარი და ბოროტია. ამიტომ მედეას სიყვარული, მისი ქმედებები და შურისძიება ცნობიერების კულტურისთვის გაუგონარი და შეუთანხმებელია, რა დროსაც ტრაგედია იზადება. იგივე შეიძლება ამოვიკითხოთ იასონის სიტყვებშიც: „...*ელინთა შორის ცხოვრობ და არა ბარბაროსთა სამფლობელოში, სადაც მეუფობს თვითნებობის ძალმომრეობა, მათ ნაცვლად კანონს და სამართალს ემორჩილები. მთელმა ელადამ გაღიარა, ბრძენი გიწოდა, შენი სახელი განადიდა; ვინ გაგიცნობდა თუ დარჩებოდი იქ, სამყაროს დასალიერში*“ (ევრიპიდე, 2019, გვ. 77).

იასონს, როგორც მამაკაცს, მედია ხომ უპირველესად იმისთვის დასჭირდა, რომ „სამყაროს დასალიერიდან“ ოქროს საწმისი – სიბრძნე, ძალაუფლება, უპირატესობა მოეპოვებინა და როგორც ცნობიერს საკუთარი იდენტობა გაეაზრებინა, რაც კონტრასტის – არაცნობიერის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა, საბოლოოდ იგი გაურბის მედეას-ქალს-ანიმას-არაცნობიერს, ხოლო კრეონი დევნის, რადგან როგორც მედეაც ამბობს ქალები ავად შობილნი, უბრძენესი ბოროტმოქმედნი, ბუნებით არ არიან სიკეთისთვის მოწოდებულნი (ევრიპიდე, 2019, გვ.67). სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით ლოგიკურია მედეას, როგორც ქალის ამბოხი იასონ-კრეონის წინააღმდეგ, რაც რეალურად არაცნობიერის ცნობიერზე რეაქციაა. ამიტომაც ქალების ამოძახილისთვის აუცილებელია კონტრასტი – კაცები, რომელიც სპექტაკლში, როგორც ზემოთ აღვნიშნე მედეას მონოლოგებში მამაკაცთა ხმებითაა გაჟღერებული.

¹ იხილეთ იუნგის „ფსიქოლოგია და ალქიმია“-ში ილუსტრაცია (იუნგი, 2023, გვ.272).

„მედეაში“ ამ კონტექსტშია საინტერესო მარიამის მამის, გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფიული მინიატურის შუშანიკის ანარეკლი. მედეასა და კრეუსას (კრეონი) კონკურენციის, ქალების კონტრასტის, მათი დაპირისპირებისას მედეას პერსონაჟის ქორეოგრაფიული კომპოზიცია, მისი რეაქცია და მუსიკა, გიორგი ალექსიძის შუშანიკს მოგვაგონებს. მით უფრო, რომ მინიატურის ქართულ ვერსიაში, შუშანიკის როლს მედეას როლის შემსრულებელი ცეკვავეს. ამიტომ, შუშანიკის ე.წ. „ქორეო ციტატა“, არა მხოლოდ მხატვრული ფორმითაა მნიშვნელოვანი, რომელიც ორგანულად ერწყმის „მედეას“ ქორეოგრაფიულ მხატვრულ სამყაროს, არამედ შინაარსობრივადაც. ორივე პერსონაჟი და მათი სულიერი სამყარო, ანტიკურ-ქრისტიანული კონტრასტის მიუხედავად ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. შუშანიკიც და მედეაც ვარსკენი-იასონი-კრეონის პატრიარქალური რეალობისთვის უცხონი, ბარბაროსნი, ურჯულონი არიან. ორივე ტექსტში მედეა-შუშანიკი-ანიმა-ქალი-არაცნობიერის და იასონი-კრეონი-ვარსკენი-კაცის-ცნობიერის ერთიანობის, კონტრასტის და კონფლიქტის გამომხატველია. მართალია, ევრიპიდეს მედეასგან განსხვავებით, შუშანიკს, ქრისტიანული კონტექსტის გამო სამხვერპლოზე საკუთარი სიცოცხლე მიაქვს, მაგრამ ორივე ტექსტისა და პერსონაჟის რიტუალური და საკრალური ბუნება ეჭვგარეშეა. ამიტომ მარიამ ალექსიძის მედეა, იუნგის მოსაზრების მსგავსად, ძალიან არქეტიპული, ფსიქოლოგიური და ფსიქოანალიტიკურია, რომლის მიღმა არაცნობიერის მანიფესტაციები იკითხება.

დასკვნით სახით უნდა ითქვას, რომ მარიამ ალექსიძის თანამედროვე ბალეტი „მედეა“ როგორც დასაწყისში, ერთგვარი რევერსით, იმავე ქორეოგრაფიული და მუსიკალური კომპოზიციით, მოცეკვავეთა ქოროს ოქროს საწმისის პანოში დაბრუნებით სრულდება, რაც regressus ad uterum-ით რიტუალის გაგრძელებაა, რომელიც როგორც ელიადე წერს: „...შეესატყვისება სამყაროს უკან სვლას „ქაოტურ“ ან ჩანასახოვან მდგომარეობამდე“ (ელიადე, 2009, გვ. 72). თუ სპექტაკლის დასაწყისში მოცეკვავეთა ქოროს სცენაზე შემოსვლა მედეას მითის და ევრიპიდეს ამბის თანამედროვე დროში დაბადებას აღნიშნავდა, დასასრულში „დინების საწინააღმდეგოდ სვლას“ ვხედავთ, რაც იმავე ელიადეს სიტყვებით, „დროიდან გასვლას“ „უკვდავების“ მიღწევას ნიშნავს. „უნდა იარო „დინების საწინააღმდეგოდ მიმართულებით“ და კვლავ მიაგნო დასაბამიერის ერთიანობას, იმას რაც მას ჟამსა შინა, შესაქმემდე არსებობდა“ (ელიადე, 2009, გვ.77). მარიამ ალექსიძის „მედეაც“, როგორც მისი მთელი შემოქმედება მცდელობაა მაღალი მხატვრული მაგიური ქორეოგრაფიული და მუსიკალური ხერხებით გაემიჯნოს პროფანულ დროს და „არტისტული რიტუალით“ („დროიდან გასვლით“), მთავარი პერსონაჟის, მითის და ევრიპიდეს ამბის საწყისებთან (დასაბამიერთან) დაბრუნებით ამოხსნას მედეას-ქალის-ანიმას-არაცნობიერის ფენომენის მისტიკური ბუნება, რომელიც მოსვენებას არ აძლევს განათლებულ ადამიანებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გორდეზიანი, რ. (2023). მედეას სახის უნივერსალურობისთვის ევრიპიდესთან, https://www.youtube.com/watch?v=DaHt_AhrVXo&t=8s
- ევრიპიდე, (2017). მედეა, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ნანა ტონიამ, თბილისი: პროგრამა „ლოგოსი“.
- ელიადე, მ. (2009). მითის ასპექტები, თბილისი: ილიაუნის გამომცემლობა.
- იუნგი, კ. გ. (2023). ფსიქოლოგია და ალქიმია, გერმანულიდან თარგმნა მაია ბადრიძე, თბილისი: „დიოგენე“.

References:

- Gordeziani, R. (2023). Medeas sakhis universalurobistvis evrip'idestan. [For the universality of Medea's face in Euripides]. https://www.youtube.com/watch?v=DaHt_AhrVXo&t=8s
- Evrip'ide, (2017). Medea, dzveli berdznulidan targmna Nana T'oniam. [Medea, translated from ancient Greek by Nana Tonia]. Tbilisi: p'rograma „logosi“.
- Eliade, M. (2009). Mitis asp'ekt'ebi. [Aspects of Myth,]. Tbilisi: iliaunis gamomtsemloba.
- Iungi, K'. G. (2023). Psikologia da alkimia. Germanulidan targmna Maia Badridze. [Psychology and Alchemy, translated from German by Maia Badridze]. Tbilisi: „diogen“.